

ილუიანქას ტექსტის ინტერპრეტაციისათვის
SOME REMARKS ON THE ILLUYANKA-TEXT

ირინე ტატიშვილი
Irene Tatishvili

ლევან გორდეზიანი
Levan Gordeziani

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: გველეშაპის ძლევა, ხეთური მითები, ნერიქის
კულტები

Keywords: Dragon-slaying, Hittite Myths, Cults of Nerik

გველემშაპთან ბრძოლის მოტივი არაერთი ხალხის მითებსა თუ ზღაპრებში გვხვდება. მათ შორისაა ხეთური მითი ამინდის ღვთაების გველემშაპთან/ გველთან შერკინების შესახებ, რომელიც უკვე ასი წელია მეცნიერთა ყურადღებას იპყრობს. ტექსტთან დაკავშირებული მრავალი არსებითი საკითხი დღემდე სადისკუსიოა. აზრთა სხვადასხვაობა ეფუძნება, ერთი მხრივ, მითოლოგიური ტექსტების შესწავლისადმი განსხვავებულ მეთოდოლოგიურ მიდგომას, მეორე მხრივ, თავად ტექსტის ცალკეული პასაჟის განსხვავებულ ნაკითხვასა თუ ინტერპრეტაციას.

ხეთებმა დაგვიტოვეს მითოლოგიური შინაარსის მეტად მრავალფეროვანი ტექსტები, სადაც განარჩევენ ადგილობრივ, ანატოლიურ და უცხო, არაანატოლიურ (ხურიტულ, ბაბილონურ, ქანაანურ) ტრადიციებს. ადგილობრივი ტრადიციის თავისებურებად მიიჩნევა პირველ რიგში ის, რომ მასში მითი და რიტუალი განუყოფელია ერთმანეთისგან. განსახილველი ტექსტიც მკვლევართა დიდი ნაწილის მიერ აღიქმება რიტუალის, კერძოდ ხათური წარმოშობის საგაზაფხულო-საახალწლო დღესასწაულის, ფურულის აღწერილობაში ჩართულ მითად.

რიტუალში ჩართული ამბავი ამინდის ღვთაების გველემშაპთან ბრძოლისა შესაძლებელია ჩაითვალოს ტიპიურ საახალწლო-საგაზაფხულო მითად, რომელიც იძლევა სეზონური დღესასწაულის ეტიოლოგიას: ამინდის ღვთაების დამარცხება სიმბოლურად განასახიერებს ზამთრის დაწყებას, ხოლო მისი გამარჯვება – გაზაფხულის დადგომას. შესაძლოა, მისი მიზანი იყო არა მარტო ბუნების, არამედ მეფის “განახლება”, შესაბამისად, მითი შეიძლება საკრალური სამეფოს ეტიოლოგიასაც წარმოადგენდეს. ტექსტის იმ ნაწილში, სადაც ფურული მოიხსენიება, ამ ზემის დაფუძნების ეტიოლოგიური მითიც შეიძლება დავინახოთ. ტექსტის ის ნაწილი კი, რომელიც ტრადიციულად რიტუალის აღწერილობად მიიჩნევა, გილანის (2013) აზრით, ნერიქის კულტის დაფუძნების ეტიოლოგიურ მითად შეიძლება აღვიქვათ.

თავისთავად ღვთაების ურჩხულთან ბრძოლა კოსმოგონიური მითი უნდა იყოს. ჩვენი აზრით, ურჩხულსა და ღვთაებას შორის ორსერიიანი ბრძოლა, რომლის დროსაც წარმატება მონაცვლეობით გადადის ხელიდან ხელში, პრინციპულად შესაქმის მითის პირვანდელი, წრიულ დროსთან დაკავშირებული ვერსიაა. სეზონების თუ დღე-ღამის მონაცვლეობა ძველ ადამიანს ქაოსის და წესრიგის ძალების – ურჩხულისა და ღვთაების – გამუდმებულ ჭიდილად უნდა წარმოედგინა: ღმერთის გამარჯვების შედეგად მყარდება კოსმიური წესრიგი, ურჩხულის გამარჯვებისას კი სამყარო ქაოსში ეფლობა. ამგვარი წარმოდგენა ადამიანის აზროვნების სტადიალურად უფრო ადრეულ საფეხურს უნდა შეესაბამებოდეს, ვიდრე ღმერთების თაობების წრფივ დროზე დაფუძნებული ამბავი თუ ისტორია, იმისგან დამოუკიდებლად, როგორ თარიღდება ჩვენამდე მოღწეული ამა თუ იმ კოსმოგონიური მითის შემცველი ტექსტი.

ტექსტს, მისი შემდგენელისვე განმარტებით, აერთიანებს ნერიქის ამინდის ღვთაების ქურუმ ქელას ნაამბობი, სადაც მეტ-ნაკლებად გამოირჩევა სამი ღვთაება: ცის ამინდის ღვთაება, ნერიქის ამინდის ღვთაება და მთა ცალიანუ. რა მიმართებებია მათ შორის და რომელი შეიძლება წარმოვიდგინოთ მის მთავარ პერსონაჟად? მართალია, ტექსტში ცის ამინდის ღვთაება და ქალაქ ნერიქის ამინდის ღვთაება იდეოგრამის დონეზეც განირჩევა, მაგრამ ეს ახალი სამეფოს დროის ინოვაცია უნდა იყოს. ლოკალურ ტრადიციაში, სავარაუდოდ, ერთი ამინდის ღვთაება უნდა ყოფილიყო. მთისა და ამინდის ღვთაების კავშირი დამახასიათებელია არაერთი რელიგიისათვის, მათ შორის, ანატოლიურისთვისაც, რაც ნერიქის ამინდის ღვთაებისა და მისი სამყოფელი ღვთაებრივი მთის გაიგივების საფუძველია. ამდენად, ტექსტში ჩართულ პასაჟებს აერთიანებს არა მხოლოდ მთხრობელი – ქურუმი ქელა, არამედ მათი ძირითადი პერსონაჟიც – ნერიქის ამინდის ღვთაება.

ლიტერატურა:

- ბეკმანი, გ.- Beckman, G. (1982). The Anatolian Myth of Illuyanka, *Journal of Ancient Near Eastern Society of Columbia University* 14, 11-25.
- გილანი, ა. – Gilan, A. (2013). Once upon a Time in Kiskilusa: The Dragon-Slayer Myth in Central Anatolia, *Creation and Chaos: A Reconsideration of Hermann Gunkel's Chaokampf Hypothesis*, ed. by J. Scurlock and R.H. Beal. Winona Lake: Eisenbrauns, 98-111.
- ჰუტერი, მ. – Hutter, M. (2021). *Religionsgeschichte Anatoliens*. Stuttgart: Kohlhammer.
- ვუდარდი, რ.დ. – Woodard, R.D. (2020). The Disappearance of Telipinu in the Context of Indo-European Myth, Hrozný and Hittite. *The First Hundred Years. Proceedings of the International Conference Held at Charles University, Prague, 11-14 November 2015*, ed. by R. I. Kim, J. Mynářová, P. Pavúk. Leiden-Boston: Brill, 583-602.

The dragon-slaying story is found in the myths and fairy tales of many peoples. Among them is the Hittite myth relating the clash of the Storm god with the dragon Illuyanka, which has been attracting the attention of scholars for a hundred years. Many essential issues of the text remain debatable. The difference of opinion is based, on the one hand, on various methodological approaches to the study of mythological texts, and on the other hand, on different readings or interpretations of particular passages of the text itself.

Among a wide variety of Hittite texts with mythological content local, Anatolian and foreign, non-Anatolian (Hurrian, Babylonian, Canaanite) traditions are distinguished. The inseparability of myth and ritual is considered the predominant characteristic of the local tradition. The text in question is likewise perceived by a large number of scholars as a myth embedded in the description of a ritual, particularly – the *Purulli*-festival, which must have been a Spring/ New Year festival of Hattian origin. The dragon-slaying story included in the description of the feast could be viewed as a typical New Year/ Spring myth, which gives the aetiology of the seasonal feast: the defeat of the Storm god symbolizes the beginning of winter, and his

victory – the rebirth of nature. Perhaps it was aiming to “renew” not only nature but also the king, and, consequently, may also represent the aetiology of the sacral kingdom. The part of the text containing references to *Purulli* could be also interpreted as the aetiological myth of the founding of this celebration. The part of the text traditionally considered as a description of the ritual, according to Gilan (2013) could be viewed as an aetiological myth of the establishment of the cult of Nerik.

The story of the battle between God and the dragon itself could be a cosmogonic myth. In our view, the bipartite clash between the two, where victory is claimed by one after the other, must be the original version of the creation myth, based on cyclic time perception. The alternation of seasons or days and nights must have been conceived by the ancient man as a constant struggle between chaos / monster and the forces of order / deity: when God fails, the world falls into chaos, when he wins, cosmic order is (re)established. Regardless of the dating of various preserved texts of cosmogonic myths, such cyclic notions, compared to the stories where time is kept linear through generations of gods, must resemble an earlier stage of human thought.

The text, according to its compiler, is united through the narrations of Kella, the priest of the Storm god of Nerik. Three divine candidates emerge for the role of its main character: the Celestial Storm god, Storm god of Nerik, and Mount Zaliyanu. It is true that the text shows a difference between the Celestial Storm god and the Storm god of Nerik even at the level of the ideogram; however, the latter should be an innovation made during the New Kingdom. In the local tradition must have been only one Storm god. The link between the mountains and the Storm gods, common for many ancient religions and attested in Anatolia as well could be the reason to identify the deity with his residential divine mount. Consequently, the text could be united not only by the narrator – the priest Kella but also by its main character – the Storm god of Nerik.

References:

- Beckman, G. (1982). The Anatolian Myth of Illuyanka, *Journal of Ancient Near Eastern Society of Columbia University* 14, 11-25.
- Gilan, A. (2013). Once upon a Time in Kiskilusa: The Dragon-Slayer Myth in Central Anatolia, *Creation and Chaos: A Reconsideration of Hermann Gunkel's Chaaskampf Hypothesis*, ed. by J. Scurlock and R.H. Beal. Winona Lake: Eisenbrauns, 98-111.
- Hutter, M. (2021). *Religionsgeschichte Anatoliens*. Stuttgart: Kohlhammer.
- Woodard, R.D. (2020). The Disappearance of Telipinu in the Context of Indo-European Myth, *Hrozný and Hittite. The First Hundred Years. Proceedings of the International Conference Held at Charles University, Prague, 11–14 November 2015*, ed. by R. I. Kim, J. Mynářová, P. Pavúk. Leiden-Boston: Brill, 583-602.

THE OLDEST REDACTION OF A GEORGIEN TEXT TRANSLATED FROM ARABIC

Bernard Outtier

National Center for scientific research
France

Universidad San Damaso
Spain

Key words: Letter from St Jerome, Martyre d'Aréthas et de ses compagnons,